სატენდერო დოკუმენტაცია
შპს "თბილისი ენერჯი"-ს (შემდგომში - "შემსყიდველი")
მიერ ლიცენზიების შესყიდვასთან დაკავშირებით
გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შემუშავებულია შპს „თბილისი ენერჯი"-ს გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შპს "თბილისი ენერჯი"-ში შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების წესის შესახებ დებულების" საფუძველზე.
სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა პოტენციურ მიმწოდებელს შესაბამისი სატენდერო განაცხადის მოსამზადებლად.

1. ზოგადი დებულებები
1.1. სატენდერო დოკუმენტაცია განკუთვნილია პოტენციური მიმწოდებლისათვის და მიზნად ისახავს მისთვის სატენდერო პირობების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას.
1.2. ტენდერი ტარდება ლიცენზიების (შემდგომში - "საქონელი") მიმწოდებლის გამოსავლენად.

2. საქონელი
2.1. იხ. ტექნიკური დავალება დანართი #3;
2.2. ანგარიშსწორება ხორციელდება:
ყოველთვიურად ლიცენზიების მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
3.1. ტენდერში მონაწილეობისთვის პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) ტექნიკური შეფასების კრიტერიუმებით და პირობებით მოთხოვნილი (იხ.დანართი #1);
ბ) დოკუმენტაცია ტექნიკური შეთავაზების წერილი (იხ.დანართი #2);
გ) კომერციული შეთავაზება (ფასების ცხრილის გათვალისწინებით);
პრეტენდენტი არ უნდა იყოს შეტანილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოებულ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია);
პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.
3.2. პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) საზოგადოებას უნდა წარუდგინოს მოწმობების, ლიცენზიების, ცნობებისა და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ მის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
3.3. შემსყიდველი არ განიხილავს სატენდერო განაცხადს, თუ პოტენციური მიმწოდებელი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრული, არაზუსტი ან/და მცდარი აღმოჩნდება.
3.4. სატენდერო განაცხადებაში მითითებული მონაცემების საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი უფლებამოსილია, ტენდერის მიმდინარეობისას განახორციელოს მონაწილეების წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევა. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, პოტენციური მიმწოდებელი შეფასებაზე არ დაიშვება.
3.5. პოტენციური მიმწოდებლის მიერ ტენდერზე წარმოდგენილი ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის გამოცხადების შემდგომ პერიოდში.

4. სატენდერო განაცხადების წარდგენა. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადა
4.1. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ორ დალუქულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო განაცხადი, ერთ კონვერტში

ტექნიკური შეთავაზების წერილი და შეფასების კრიტერიუმებით და პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მეორე კონვერტში-ფასების ცხრილი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2-ე მუხლის მოთხოვნებს.
4.2. კონვერტზე სავალდებულოა პოტენციური მიმწოდებლის სახელწოდებისა და მისამართის მითითება, აგრეთვე მასზე აღნიშნული უნდა იყოს: შპს "თბილისი ენერჯისათვის" ლიცენზიების შესყიდვის ტენდერი", კონვერტი 1 ტექნიკური შეთავაზება, კონვერტი 2 კომერციული შეთავაზება.
4.3. შემსყიდველისათვის წარდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს პოტენციური მიმწოდებლის ბეჭდით (თუ იგი სარგებლობს ბეჭდით).
4.4. სატენდერო განაცხადში ფასები მიეთითება ლარში.
4.5. სატენდერო განაცხადი შემსყიდველს წარედგინება 2026 წლის 25 თებერვალის 17:00 საათამდე (შემდგომში - "საბოლოო ვადა"), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ᵃ, შპს "თბილისი ენერჯის" კანცელარია. კანცელარიაში პოტენციური მიმწოდებლის სატენდერო განაცხადის მიღებისას აუცილებელია განაცხადის უშუალო მომწოდებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის დართვა მისაღებ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელზეც დაფიქსირდება დოკუმენტაციის წარმოდგენის ზუსტი თარიღი და დრო.
4.6. სატენდერო კომისიის მიერ არ განიხილება პოტენციური მიმწოდებლების (პრეტენდენტების) მიერ ვადების დარღვევით წარდგენილ სატენდერო განაცხადი.
4.7. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) გაიღებს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მისი სატენდერო განაცხადის მომზადებასა და წარდგენასთან. საზოგადოებასა და სატენდერო კომისიას არ ეკისრებათ ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, მიუხედავად ტენდერის ჩატარების შედეგებისა.
4.8. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) ვალდებულია მიუთითოს თავის სატენდერო განაცხადში მისი მოქმედების ვადა. სატენდერო განაცხადები რჩება ძალაში იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, მაგრამ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღისა სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღის შემდეგ. სატენდერო განაცხადი, რომელზეც მითითებულია უფრო ნაკლები მოქმედების ვადა, ვიდრე ეს მოთხოვნილია სატენდერო დოკუმენტაციით, განიხილება, როგორც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამო.
4.9. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადის ამოწურვამდე სატენდერო კომისიას შეუძლია სთხოვოს პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) დამატებით გააგრძელოს აღნიშნული ვადა კონკრეტული დროის პერიოდზე. პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) შეუძლია უარი თქვას აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილებაზე და ამასთან.
4.10. პოტენციურ მიმწოდებელს უფლება აქვს შეცვალოს ან გაიხმოს თავისი სატენდერო განაცხადი სატენდერო განაცხადების წარდგენისათვის დადგენილი საბოლოო ვადის გასვლამდე.
4.11. შემსყიდველი უფლებამოსილია, პოტენციური მიმწოდებლის წერილობითი თხოვნის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით, განმარტოს/დააზუსტოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, რაც ფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და ეგზავნება ყველა პოტენციურ მიმწოდებელს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

5. სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტის გახსნა, სატენდერო განაცხადის განხილვა და შეფასება

5.1. კონვერტი 1, რომლებშიც მოთავსებულია სატენდერო დოკუმენტაციის 3.1. პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, სავარაუდოდ გაიხსნება 2026 წლის 26 თებერვალს.
5.2. სატენდერო კომისია არ განიხილავს შეფასებისთვის სატენდერო განაცხადს, თუ:

ა) სატენდერო განაცხადის წარმდგენი პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
ბ) მოცემული სატენდერო განაცხადი არ პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
გ) სატენდერო განაცხადი არ არის გაფორმებული და დამოწმებული დადგენილი წესით;
5.3. პოტენციური მიმწოდებლის მცდელობა ზეწოლა მოახდინოს სატენდერო კომისიის საქმიანობაზე, წარმოადგენს მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს.
5.4. სატენდერო კომისია აჯამებს ტენდერის შედეგებს სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღიდან არა უგვიანეს 15 დღისა.
5.5 სატენდერო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს მიღებული განაცხადები, უარი განაცხადოს გამარჯვებულის გამოვლენაზე და გამოაცხადოს ტენდერი არშემდგარად, თუ მიმწოდებელთა მიერ შეთავაზებული ფასი და შესყიდვის ობიექტის სხვა მახასიათებლები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ხელშეკრულების დადება
6.1. ტენდერით შერჩეულ (გამარჯვებულ) პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან) ფორმდება შესყიდვის ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. ტენდერით შერჩეული (გამარჯვებული) პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ შეტყობინებისა და შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის გადაცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ხელს აწერს ხელშეკრულებას.
6.3. თუ მიმწოდებელი გამოცხადებულია ტენდერის გამარჯვებულად და იგი ხელს არ აწერს შესყიდვის ხელშეკრულებას ამ მუხლის 6.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დადოს შესყიდვის ხელშეკრულება ტენდერის სხვა მონაწილესთან, რომლის წინადადება, ამ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელს გამარჯვებულის წინადადების შემდეგ, რაც დასტურდება ტენდერის შედეგების ოქმით.
6.4. არ დაიშვება ცვლილებების ან/და ახალი პირობების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში (გარდა ფასის შემცირებისა), რამაც შესაძლებელია შეცვალოს იმ წინადადების შინაარსი, რომელიც წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევის საფუძველს. დასაშვებია ცვლილებების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში ფასის შემცირების ნაწილში იმ პირობით, რომ ხარისხი, მოცულობა და სხვა პირობები, რაც წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევის საფუძველს, დარჩება უცვლელი.
6.5. შესყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები ტენდერში გამარჯვებულ პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან) ხელშეკრულების ფასის შემცირების თაობაზე.
6.6. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების ხელშეკრულების განხორციელების პროცესში შესაბამის საქონელზე შემცირდა ფასები, შემსყიდველისა და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესყიდვების ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილება ფასის შემცირების თაობაზე.

ტექნიკური შეფასების კრიტერიუმები და პირობები დანართი #1

მიღებულ შემოთავაზებებს შემსყიდველი აფასებს შემდეგ კრიტერიუმების საფუძველზე.

წარმოდგენილი საბუთები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ ხელშეკრულების გასაფორმებელად.

კომერციული შეფასების დროს განიხილება მხოლოდ ის ტექნიკური შეთავაზებები, რომლებიც შეესაბამება ტექნიკური შეფასების კრიტერიუმებს და პირობებს.

№	კრიტერიუმი	მოთხოვნილი საბუთები	კრიტერიუმების გამოვლენის და შეფასების პირობები
1.	ტექნიკური შემოთავაზება	• ტექნიკური შეთავაზების წერილი	ტექნიკური შეთავაზების წერილი შინაარსის შეუცვლელად, უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, დალუქული და დათარიღებული.
1.1.	შესაბამისი გამოცდილება	• **ფორმა 1: მსგავსი სამუშაო გამოცდილება** ○ მიღება-ჩაბარების აქტები (დასრულებული პროექტებისთვის) ○ ხელშეკრულებები ○ პორტფოლიო საბუთები: - კომპანიის ზოგადი პროტფოლიო (ვებგვერდი)	უნდა მომზადდეს დეტალური ინფორმაცია პროექტის დავალების საბუთში მითითებული 2 მსგავსი დასრულებული ან მიმდინარე (70%-ით დასრულებული) პროექტის შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში. პროექტების მსგავსების შესაფასებლად, ინფორმაციას თან უნდა დაერთოს ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები თითოეული შესრულებული სამუშაოსთვის.
1.2.	მონაწილეობის კრიტერიუმები	• **ფორმა 3** ○ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან. ეს საბუთი შეიცავს: ინფორმაციას ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, გადახდისუუნარობის, ასევე ყადაღის, აკრძალვის, გირაოსა და თავდებობის შესახებ.	ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი უდნა იყოს გადახდისუნარიანი, არ უნდა იმყოფებოდეს ლიკვიდაციაში, მის ქონებას არ უნდა ედოს ყადაღა, მისი ეკონომიკურ-ფინანსური აქტივობა არ უნდა იყოს შეჩერებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
1.3.	მონაწილეობის კრიტერიუმები	• **ფორმა 4** ○ შემოსავლების სამსახური – ამონაწერი საბიუჯეტო ან/და საკრედიტო ინსტიტუტებისადმი ვადაგადაცილებული დავალიანების შესახებ.	ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს არ უნდა ჰქონდეს ვადაგადაცილებული საბიუჯეტო დავალიანება.
1.4.	ტექნიკური ბაზა	• **ფორმა 2: მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა**	**პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ე.წ. MAF - Manufacturer Authorization Form ყველა შეთავაზებულ პროდუქტზე**

ტექნიკური შეთავაზების წერილი

შპს „თბილისი ენერჯი“-ს:

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვაცხადებთ:

(a) **უცვლელობა:** ჩვენ განვიხილეთ სატენდერო დოკუმენტი ყველა მიმაგრებული ფაილის ჩათვლით, სრულიად ვაცნობიერებთ ლიცენზიების მიწოდების პირობებს, რომელიც ამ დოკუმენტებით არის დამტკიცებული და მათში ცვლილებები არ შეგვაქვს;

(b) **დაშვების უფლება:** ჩვენ არ ვარღვევთ ტენდერში დაშვების მოთხოვნებს და ვადასტურებთ, რომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი;

(c) **ტექნიკური შესაბამისობა:** ჩვენ გთავაზობთ ლიცენზიების მიწოდებას სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად.

(d) **შეთავაზების მოქმედების ვადა**: ჩვენი ტექნიკური და კომერციული შემოთავაზება ძალაშია წინადადების წარდგენისთვის განსაზღვრული საბოლოო თარიღიდან *15 დღის* განმავლობაში (ან, საჭიროების შემთხვევაში, გადაანგარიშდება შეცვლილი თარიღის მიხედვით), და უცვლელი სახით ძალაში დარჩება აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.

(e) **ხელშეკრულება:** ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი წინადადება თქვენს დასტურთან ერთად წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმებამდე. ტენდერის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხელშეკრულების შაბლონში (მონიშნეთ “X” სიმბოლოთი შემდეგი დებულებები);

( ) ჩვენ არ შეგვაქვს ცვლილებები

( ) შეგვაქვს ცვლილებები (ჩამატებულია ხელშეკრულებაში)

(f) **წინადადების მიღების არასავალდებულოობა**: ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თქვენ არ ხართ ვალდებული მიიღოთ ყველაზე დაბალი ფასის, ტექნიკური პირობებით ყველაზე მეტად შესაფერისი ან ნებისმიერი სხვა სახის წინადადება.

(g) **თაღლითობა და კორუფცია:** ვადასტურებთ, რომ მიღებული გვაქვს თაღლითობისა და კორუფციის აღმკვეთი ყველა შესაძლო ზომა და გარწმუნებთ, რომ ჩვენი სახელით მოქმედი არც ერთი პიროვნება არ არის გარეული თაღლითობასა და კორუფციაში.

სახელი და გვარი: _____

თანამდებობა: _____

ხელმოწერა და ბეჭედი: _____

უფლებამოსილია ხელი მოაწეროს წინადადებას კომპანიის სახელით *(პრეტენდენტის სრული დასახელება)* .

თარიღი: _____

ფორმა 1: მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება

No	დაწყებისა და დასრულების თარიღი[1]	შემსყიდველი / საკონტაქტო პიროვნება / საკონტაქტო ნომერი	შესრულებული სამუშაოს დეტალური აღწერა (ადგილმდებარეობა, ძირითადი შემადგენელი ნაწილები, რაოდენობა/მოცულობა) და მოთხოვნილ სამუშაოსთან შესაბამისობის აღწერა	ხელშეკრულების ღირებულება *(USD)*	დასრულების პროცენტული მაჩვენებელი[2]
1.					
2.					
3.					
4.					
5.					

შენიშვნა: ფორმას თან უნდა ახლდეს მხარეთა მიერ დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც გაწერილი იქნება დასრულებული სამუშაოების დეტალები/მოცულობა ან მიმდინარე სამუშაოებისთვის საბოლოო შესრულების აქტები.

---

[1] ჩასვით თვე და რიცხვი

[2] თუ სამუშაო მიმდინარეა, %-ის საშუალებით მიუთითეთ ამ სამუშაოს რა ნაწილი არის დასრულებული (დასაშვებია მინიმუმ 80%-იანი შესრულების მითითება)

ტექნიკური დავალება
ლიცენზიების ჩამონათვალი

საოფისე პრემიუმ პაკეტი Office 365 E3

მომხმარებლების რაოდენობა - არაუმეტეს 450 ;

ლიცენზიის აქტივაციის პერიოდი - ყოველთვიურად წლის ბოლომდე;

- საოფისე პაკეტის ფუნქციონალში უნდა შედიოდეს ოფისის უახლესი როგორც ვებ/ონლაინ ასევე დესკტოპ აპლიკაციები.
- სისტემა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას რომ ერთმა მომხმარებელმა საოფისე დესკტოპ აპლიკაციები დაყენოს და გამართოს ხუთსხვადასხვა მოწყობილობაზე.
- სერვისი თავსებადი უნდა იყოს Windows, MacOS, IOS, ANDROID ოპერაციულ სისტემებთან
- თითოეულმომხმარებელს უნდა ქონდეს ბიზნეს კლასის მეილი, კონტაქტები და კალენდარი (როგორც ვებ, ასევე დესკტოპ ვერსია)
- შესაძლებელი უნდა იყოს საკუთარი დომეინის შექმნა
- მეილსერვისს უნდა ქონდეს თითოეულმომხმარებელზე რამოდენიმე დომეინის მიბმის საშუალება
- სისტემას უნდა გააჩნდეს მართვის ვებ ინტერფეისი
- შესაძლებელი უნდა იყოს მომხმარებლების როლების დელეგირება
- Exchange Online-ის საშუალებით თითოეულმომხმარებელს ექნება 100 გიგაბაიტიანი მოცულობის საფოსტო ყუთი
- სისტემას უნდა შეეძლოს მინიმუმ 150 მეგაბაიტი შეტყობინების გაგზავნა
- თითოეულმომხმარებელს უნდა ქონდეს საფოსტო დესკტოპ აპლიკაციასთან მუშაობის შესაძლებლობა
- სისტემას უნდა ქონდეს ელექტრონული ფოსტის ვებ ვერსია.
- სერვისის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს შემომავალი საფოსტო ყუთის წესების განსაზღვრა და მომხმარებლის ქცევასთან ადაპტაცია
- სისტემას უნდა გააჩნდეს კონტაქტების სანახი, შესაძლებელი უნდა იყოს შიდა და არაკორპორაციული მისამართების გამიჯვნა, ჯგუფებისა და საკონფერენციო ოთახების ორგანიზება. გარდა ამისა ინტეგრირებული კალენდრის მეშვეობით უნდა მოხდეს შეხვედრების დაგეგმვა. (როგორც ვებ ასევე დესკტოპ ვერსია)
- ყველა საფოსტო ყუთი დაცული უნდა იყოს ანტივირუსით და ანტისპამით
- სისტემას უნდა ქონდეს:
  - მონაცემთა დაკარგვის პრევენციის პოლიტიკა და შიფრირება ;
  - უფლებების მართვის სისტემის ვებ ვერსია;
  - არქივაციის საშუალების, როგორც ვებ, ასევე დესკტოპ ვერსია, რაც გულისხმობს ძველი გამოუყენებელი წერილების გადატანას არქივში. არქივში არსებული წერილები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლებისათვის.
- საფოსტო სერვერს უნდა შეეძლოს ლოკალური საფოსტო კლიენტიდან დავალებების და შეხსენებების გაგზავნა სხვა მომხმარებლისათვის და მიმღების კალენდარში ჩანაწერის გაკეთება
- საფოსტო სერვერს უნდა ქონდეს დესკტოპ აპლიკაციიდან ავტომატური შეტყობინებების დაყენების მხარდაჭერა
- მეილსერვერს უნდა შეეძლოს შეტყობინების მიღების დასტურის და წერილის წაკითხვის რეპორტის გაგზავნა
- მეილსერვერს უნდა გააჩნდეს ლოკალურ და ქლაუდ აქტივ დირექტორიასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა
- სისტემის საშუალებით უნდა მოხდეს ელექტრონული ფოსტის კალენდრისა და კონტაქტების სინქრონიზაცია მომხმარებლის მოწყობილობებს შორის რეალურ დროში
- სერვისმა უნდა შესძლოს დაკარგული მოწყობილობიდან, დისტანციურად ინფორმაციის წაშლა
- შესაძლებელი უნდა იყოს სამომხმარებლო ფორმატის შექმნა. ორგანიზაციის თანამშრომელს უნდა ქონდეს საშუალება მეილში დამატოს საკუთარი

ხელმოწერა, სურათი, სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, თანამდებობა, კომპანიის დასახელება, ლოგოან სურათი

- უნდა გააჩნდეს მარტივი ადმინ ცენტრის ვებ/ონლაინ ვერსია, საიდანაც შესაძლებელი
  იქნება ახალი ელექტრონული ფოსტების შექმნა, წაშლილი ელექტრონული ფოსტების აღდგენა და მომხმარებლების და მათმიერ გამოყენებული აპლიკაციების მართვა.
- სერვისი უნდა შეეძლოს საკუთარი კალენდრის გაზიარება თანამშრომლებისათვის
- პაკეტის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს თანამშრომლების ერთობლივად მუშაობისთვის განკუთვნილი სერვისები, სადაც შესაძლებელი იქნება ჯგუფებად დაყოფა, საიტების შექმნა, ინფორმაციის/დოკუმენტაციის, ვიდეოების ატვირთვა/გაზიარება. (ვებ ვერსიები)
- თითოეულმომხმარებელს უნდა ქონდეს მინიმუმ 1 TB მოცულობის ღრუბლოვანი შემნახველი საცავი შემდგომ გაზრდის შესაძლებლობით, როგორც ონლაინ/ვებ ვერსიის ასევე დესკტოპ აპლიკაცია მასთან წვდომა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი მოწყობილობიდან და ლოკაციიდან
- სისტემას უნდა გააჩნდეს ორგანიზაციის შიგნითდა მის გარეთდოკუმენტების გაზიარების შესაძლებლობა და მონიტორინგი იმისა თუ ვის შეუძლია ამავე დოკუმენტის ნახვა/დაკორექტირება.
- პაკეტის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს კორპორატიული შიდა სოციალური ქსელის სერვისი
- სისტემა უნდა იძლეოდეს საშუალებას მომხმარებელმა შექმნას „დაფები“ სივრცეები, ჯგუფები, კონკრეტულპირებს მიეცეს/მიენიჭოს დავალება და რეალურ დროში მოხდეს სამუშაოპროცესების განვითარების მონიტორინგი. (ვებ ვერსია)
- ლიცენზიას უნდა ქონდეს ერთსივრცეში, ერთი და იგივე ფაილთან ერთობლივად მუშაობის, კორექტირების და კომენტარების გაკეთების საშუალება, სხვადასხვა აპლიკაციებზე გადასვლის საჭიროების გარეშე. ამასთანავე ყველამ უნდა დაინახოს თურომელმომხმარებელს რომელფაილთან მუშაობს. ფაილის კორექტირება/შეცვლის შემთხვევაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია თუვინ, როდის და რა შეცვალა კონკრეტულფაილში. (ვებ ვერსია)
- სერვისს უნდა გააჩნდეს პერსონალიზირებული/ინტელექტუალური ძებნის სისტემა.
- სისტემას უნდა ქონდეს სამუშაოდღის განრიგის მართვის და მონიტორინგის ფუნქცია, თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთინფორმაციის გაზიარების საშუალება და სამსახურთან დაკავშირებულსხვა აპლიკაციებსა და რესურსებთან დაკავშირების/წვდომის შესაძლებლობა.
- სერვისი ციფრული, ინტერაქტიული ანგარიშებისა და პრეზენტაციების შესაქმნელად. მათი სწრაფი გაზიარება ნებისმიერი მოწყობილობიდან და ლოკაციიდან. (ვებ ვერსია)
- გაზიარებული დოკუმენტაცია უნდა იყოს მორგებული ყველა მოწყობილობაზე
- სისტემას უნდა ქონდეს ორგანიზაციის შიგნითარსებული ვიდეომასალის უსაფრთხოძებნის, ნახვისა და დთვალიერების ფუნქცია.
- **შესაძლებელი უნდა იყოს:**
  აპლიკაციებსა და სერვისებს შორის ავტომატიზირებული სამუშაოპროცესების შექმნა, შეტყობინებების, შენიშვნების, ფაილების სინქრონიზაციისა და საჭირომონაცემების შეგროვებისათვის. (კოდირების აუცილებლობის გარეშე) (ვებ ვერსია)
  ინტერნეტისა და მობილური მოწყობილობებისათვის სამომხმარებლობიზნეს აპლიკაციების სწრაფი შექმნა და პუბლიკაცია/გაზიარება (კოდირების აუცილებლობის გარეშე) (ვებ ვერსია)
  - სერვისს უნდა გააჩნდეს მომხმარებლის აპლიკაციების ყველა მოწყობილობაზე სინქრონიზაციის ფუნქცია
  - სისტემის საშუალებითშესაძლებელი უნდა იყოს ჯგუფური პოლიტიკების, ტელემეტრიებისა და კომპიუტერების საერთოაქტივაციის შექმნის შესაძლებლობა.

მეილსერვისი ბაზიური პაკეტი Exchange Online kiosk

მომხმარებლების რაოდენობა - არაუმეტეს 1100;

ლიცენზიის აქტივაციის პერიოდი - ყოველთვიურად წლის ბოლომდე;
- თითოეულ მომხმარებელს უნდა ქონდეს 2 გიგაბაიტი საფოსტო ყუთის მოცულობა
- არაქვს არქივი
- მეილსერვისთან წვდომა შესაძლებელი უნდა იყოს Web ბრაუზერის მეშვეობით
- შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული ფოსტის კალენდრისა და კონტაქტების სინქრონიზაცია
- მეილსერვერს უნდა ქონდეს ლოკალურ და ქლუდაქტივ დირექტორიასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა

მეილსერვისი ბაზიური პაკეტი Exchange Online Plan 1
ძირითადი ფუნქციონალი:
მომხმარებლების რაოდენობა - არაუმეტეს 3;
ლიცენზიის აქტივაციის პერიოდი - ყოველთვიურად წლის ბოლომდე;
- თითოეულ მომხმარებელს უნდა ქონდეს 50 გიგაბაიტი საფოსტო ყუთის მოცულობა და შეუძლია თ 150 გიგაბაიტი მოცულობის შეტყობინების გაგზავნა
- აქვს მეილების ავტომატურა დარქივში გადატანის შესაძლებლობა
- შემოთავაზებული მეილსერვისი ინტეგრირდება დესკტოპ Outlook-ის აპლიკაციასთან
- მეილსერვისთან წვდომა შესაძლებელი უნდა იყოს Web ბრაუზერის მეშვეობით
- შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული ფოსტის კალენდრისა და კონტაქტების სინქრონიზაცია
- მეილსერვერს უნდა ქონდეს ლოკალურ და ქლუდაქტივ დირექტორიასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა
- საჭიროების შემთხვევაში როგორც გამომგზავნის ელ-ფოსტის მისამართის, ასევე გამომგზავნის მთლიანი დომეინის დაბლოკვის შესაძლებლობა
- საკუთარი დომეინის შექმნის შესაძლებლობა
- რამოდენიმე დომეინის მიბმის საშუალება
- უსაფრთხოება: ელექტრონული ფოსტის მომსახურების გარანტირებული 99.9% მუშა მდგომარეობა (Uptime). სპამ ფილტრი, ანტივირუსი, POP3S, SMTPS, SSL/TLS, ავტომატური სარეზერვოკოპირება, კონფიდენციალობა, 24/7 მხარდაჭერა (Support)
- ბიზნეს ელექტრონული სახელი: ბიზნეს სახელითსარგებლობა, ფსევდონიმების და ჯგუფების შექმნის საშუალება

მეილსერვისის ბიზნეს პაკეტი Exchange Online Plan 2
ძირითადი ფუნქციონალი:
მომხმარებლების რაოდენობა - არაუმეტეს 4;
ლიცენზიის აქტივაციის პერიოდი - ყოველთვიურად წლის ბოლომდე;
- თითოეულ მომხმარებელს უნდა ქონდეს 100 გიგაბაიტი საფოსტო ყუთის მოცულობა და შეუძლია 150 გიგაბაიტი მოცულობის შეტყობინების გაგზავნა
- მეილების ავტომატურა დარქივში გადატანის შესაძლებლობა, რომელის მოცულობაც თითოეულ მომხმარებელზე უნდა იყოს 1.5 TB
- შემოთავაზებული უნდა იყოს მეილსერვისი ინტეგრირდება დესკტოპ Outlook-ის აპლიკაციასთან
- შემოთავაზებული უნდა იყოს მეილსერვისთან წვდომა Web ბრაუზერის მეშვეობით.
- შემოთავაზებული უნდა იყოს ელექტრონული ფოსტის კალენდრისა და კონტაქტების სინქრონიზაცია
- მეილსერვერს უნდა ქონდეს ლოკალურ და ქლუდაქტივ დირექტორიასთან ინტეგრაციის შესაძლებლობა
- საჭიროების შემთხვევაში როგორც გამომგზავნის ელ-ფოსტის მისამართის, ასევე გამომგზავნის მთლიანი დომეინის დაბლოკვის შესაძლებლობა
- საკუთარი დომეინის შექმნის შესაძლებლობა
- რამოდენიმე დომეინის მიბმის საშუალება

- უსაფრთხოება: ელექტრონული ფოსტის მომსახურების გარანტირებული 99.9% მუშა მდგომარეობა (Uptime). სპამ ფილტრი, ანტივირუსი, POP3S, SMTPS, SSL/TLS, ავტომატური სარეზერვოკოპირება, კონფიდენციალობა, 24/7 მხარდაჭერა (Support)
- სენსიტიური ბიზნეს მონაცემების კონტროლის შესაძლებლობა, ჩაშენებული მონაცემთა დაკარგვის პრევენციის (DLP) პოლიტიკით
- ბიზნეს ელექტრონული სახელი: ბიზნეს სახელითსარგებლობა, ფსევდონიმების და ჯგუფების შექმნის საშუალება.

Windows 10/11 Enterprise E3 VDA

ძირითადი ფუნქციონალი:

მომხმარებლების რაოდენობა - არაუმეტეს 300;

ლიცენზიის აქტივაციის პერიოდი - ყოველთვიურად წლის ბოლომდე;

- თითოეულ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს წვდომა ვირტუალურ Windows 10/11 Enterprise დესკტოპზე (VDI/AVD)
- მხარდაჭერილია Windows, macOS, Linux და Web Browser წვდომა
- ინტეგრაცია Microsoft Entra ID / Active Directory-თან
- მომხმარებლის მართვა და ლიცენზიის მინიჭება Microsoft 365 Admin Center-ის საშუალებით
- Conditional Access და MFA მხარდაჭერა
- Intune/Endpoint Manager–ით მოწყობილობების მართვა
- უსაფრთხოება: 99.9% ხელმისაწვდომობა, SSL/TLS, Defender, BitLocker

Visio Plan 2

ძირითადი ფუნქციონალი:

მომხმარებლების რაოდენობა - არაუმეტეს 2;

ლიცენზიის აქტივაციის პერიოდი - ყოველთვიურად წლის ბოლომდე;

- მომხმარებელს უნდა ჰქონდეს წვდომა Visio-ს სრული ვერსიაზე (Web და Desktop)
- ვექტორული დიაგრამების შექმნის და რედაქტირების შესაძლებლობა
- ინტეგრაცია Microsoft 365 (OneDrive, SharePoint) გარემოსთან
- მომხმარებლის მართვა და ლიცენზიის მინიჭება Microsoft 365 Admin Center-ის საშუალებით
- წვდომა Cloud-დან და მოწყობილობიდან დამოუკიდებლად
- მხარდაჭერილია თანამშრომლური მუშაობა რეალურ დროში რამდენიმე მომხმარებელთან
- მომხმარებელს უნდა ჰქონდეს წვდომა Visio-ს სრული ვერსიაზე (Web და Desktop)
- ვექტორული დიაგრამების შექმნის და რედაქტირების შესაძლებლობა
- ინტეგრაცია Microsoft 365 (OneDrive, SharePoint) გარემოსთან
- მომხმარებლის მართვა და ლიცენზიის მინიჭება Microsoft 365 Admin Center-ის საშუალებით
- წვდომა Cloud-დან და მოწყობილობიდან დამოუკიდებლად
- მხარდაჭერილია თანამშრომლური მუშაობა რეალურ დროში რამდენიმე მომხმარებელთან.

ფასების ცხრილი

#	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ტექნიკური პარამეტრები	ერთ. ფასი თვე(ლარი)	ჯამური ფასი (ლარი დღგ-ს ჩთ.)
1	*საოფისე პრემიუმ პაკეტი Office 365 E3*	*450*	*იხ. ტექნიკური დავალება*		
2	*მეილ სერვისი გაზიური პაკეტი Exchange Online kiosk*	*1100*	*იხ. ტექნიკური დავალება*		
3	*მეილ სერვისი გაზიური პაკეტი Exchange Online Plan 1*	*3*	*იხ. ტექნიკური დავალება*		
4	*მეილსერვისის ბიზნეს პაკეტი Exchange Online Plan 2*	*4*	*იხ. ტექნიკური დავალება*		
6	*Windows 10/11 Enterprise E3 VDA*	*300*	*იხ. ტექნიკური დავალება*		
7	*Visio Plan 2*	*2*	*იხ. ტექნიკური დავალება*		
	ჯამური ფასი:				